ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4238967

ნომერი: AR1636048

თარიღი : 08.10.2018

გაცემის თარიღი : 29.10.2018

გაცნობის თარიღი : 30.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა, N 83;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჩაჩხიანი პ/ნ 01026009098
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 116

ორგანიზაცია:
- ელ ეს ჯი კოდი: 205279928

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 სექტემბრის №4190553 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე უარის თქმის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 08 ოქტომბერს №AR1636048 განცხადებით მომართა გიორგი ჩაჩხიანმა და სამსახურის 2018 წლის 27 სექტემბრის №4190553 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 27 სექტემბრის №4190553 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი (ნაკვეთი 038/425), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.038.425), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 27 სექტემბრიდან 2019 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 27 სექტემბრის №4190553 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ, განმცხადებლის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ავტოსადგომების ფართობში გამორჩენილია ღია ავტოსადგომების ფართობი (165.2 კვ.მ). შესაბამისად ითხოვს, ავტოსადგომების ფართობის 180.2 კვ.მ-ის ნაცვლად 345.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლების მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. კერძოდ, ღია ავტოსადგომები ავტოსადგომების საერთო ფართობში არ იანგარიშება. შესაბამისად, აღნიშნული ფართობების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი